ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 202

ქალაქი ქუთაისი 31 ივლისი 2019 წელი

ინფორმაცია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“
მიერ გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მ/წლის 31 ივლისს, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის №135 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ინფორმაცია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე–3 მუხლის მე–4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დამაკმაყოფილებლად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ.

(ინფორმაცია წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2019 წლის 31 ივლისის
N202 განკარგულების დანართი

ინფორმაცია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ
გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (შემდგომ, ა(ა)იპ–ი) „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ძირითად მიზანს ქალაქ ქუთაისში სპორტის განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღის წესის პროპაგანდა წარმოადგენს. აღნიშნულის განხორციელებისათვის გაერთიანების მიერ 2017 წელს განხორციელდა ფილიალების მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფა/აღჭურვა, სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, ფილიალების საოფისე და კომუნალური ხარჯების გადახდა, საწვრთნო პროცესის კონტროლი, სასწავლო პროცესის ორგანიზება, სპორტსმენთა წვრთნისა და სოციალური პირობების კვება/სასწავლო საწვრთნელი შეკრებების ორგანიზება.

გაერთიანება მოიცავს 13 ფილიალს. სპორტის სახეობაა 39, ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობაა შტატით – 38, შტატგარეშე – 20. სკოლებში თანამშრომელთა რაოდენობაა – 400. აქედან, შტატით გათვალისწინებული მწვრთნელი – 257, ხოლო, შტატგარეშე მწვრთნელი – 25. მოსწავლეთა რაოდენობა – 4323.

2017 წლის 20 ნოემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ბიუჯეტიდან გაწეულ იქნა შემდეგი ხარჯები:

ხელფასი – 406 194,25 ლარი;

მივლინებები ქვეყნის შიგნით და გუნდების დაფინანსებისათვის – 37 950 ლარი;

სხვა დანარჩენი ხარჯები (კომუნალური გადასახადები, კომუნიკაციის ხარჯები, საიჯარო ქირები, ტრანსპორტის ხარჯი და სხვა 72 900,75 ლარი;

საკუთარი შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2017 წლის 20 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, შეადგინა (ფასიანი სწავლება, კომერციული ჯგუფები, იჯარები) 15269 ლარი.

2017 წლის 20 ნოემბრიდან 2017 წლის ბოლომდე ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ შესყიდულ იქნა შემდეგი მომსახურებები:

1. გაერთიანების ფილიალის ყინულის მოედნისთვის აგრეგატის ძრავის შეკეთების მომსახურება, თანხა – 600 ლარი;

2. გაერთიანების მე–11 ფილიალის ჩოგბურთის კორტების ადმინისტრაციის შენობის გადახურვის მომსახურება, თანხა – 1125 ლარი;

3. გაერთიანების ყინულის მოედნის ფილიალისთვის ციგურების ლესვის მომსახურება, თანხა – 500 ლარი;

4. გაერთიანების მე–11 ფილიალის კალათბურთის ფარის შეკეთების მომსახურება, თანხა – 375 ლარი;

5. გაერთიანების ადმინისტრაციისა და ფილიალებისთვის კარტრიჯების დამუხტვის მომსახურება, თანხა – 400 ლარი.

ჯამი: 3000 ლარი.

2017 წლის 20 ნოემბრიდან 2017 წლის ბოლომდე ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. 25 – 26 ნოემბერი – ა.თევდორაძის სახელობის ტურნირი მინდვრის ჰოკეიში გოგონათა და ჭაბუკთა შორის (სომხეთი – ქალაქ რაზდანის გოგონათა და ვაჟთა გუნდები);

2. 2 – 3 დეკემბერი – ქუთაისის ღია პირველობა ბატუტზე ხტომებში;

3. 2 – 3 დეკემბერი – იმერეთის ღია პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში;

4. 9 – 10 დეკემბერი – ღია საქალაქო პირველობა ძალოსნობაში;

5. 8 – 10 დეკემბერი – საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ქუთაისისა და ერევნის მოკრივეთა ნაკრებ გუნდებს შორის;

6. 9 დეკემბერი – ქუთაისის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში;

7. 15 – 17 დეკემბერი – ქუთაისის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში;

8. 15 – 17 დეკემბერი – გ.ლევიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ–რომაულ ჭიდაობაში (სომხეთი – 3 გუნდი).

გაერთიანება მოიცავს 15 (თხუთმეტ) ფილიალს, სადაც ფუნქციონირებს სპორტის 40 სახეობა. გაერთიანებაში სწავლება არის უფასო. ფილიალებში 2018 წელს მოსწავლეთა რაოდენობა იყო – 4491.

2018 წელს ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენდა 3 540 900 ლარს.

2018 წელს ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“ ბიუჯეტიდან დაფინანსდა 3509000 ლარით.

მათ შორის: 1. სუბსიდია – 3 127 300 ლარი;

2. სხვა ხარჯები – 417 000 ლარი;

3. არაფინანსური აქტივების ზრდა – 1 600 ლარი.

მიღებული დაფინანსებიდან გაწეული იქნა შემდეგი საკასო ხარჯი:

1. სუბსიდია სულ: 3 129 588 ლარი. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო – 2287122 ლარი; შტატგარეშე მუშაკთა ხელფასი – 183284 ლარი; მივლინებები ქვეყნის შიგნით – 75127 ლარი; სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი – 15169 ლარი; საქონელი და მომსახურებაზე გაწეულია ხარჯი – 536791 ლარი (კომუნალური, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტის მომსახურების, საწვავის, საიჯარო ქირების, საწევროების და სხვა);

2. სხვა ხარჯები (გუნდების დაფინანსება 6515 სპორტსმენზე) – 409 943 ლარი;

3. არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯი – 1 594 ლარი.

საკუთარი შემოსავლებიდან მიღებულმა საკასო შემოსავალმა 2018 წელს შეადგინა 68318 ლარი. საკასო ხარჯი გაწეულია 22961 ლარის ოდენობით და 2019 წლის 1 იანვრისათვის საკუთარი შემოსავლების ანგარიშზე ნაშთი დარჩა – 45981 ლარი.

2018 წელს სახელმწიფო შესყიდვა ელექტრონული ტენდერების საშუალებით განხორციელდა: გაერთიანების ადმინისტრაციისა და ფილიალებისათვის ინტერნეტ მომსახურების მოწოდება – 7932 ლარი, გაერთიანების სარგებლობაში არსებული ქონების დაცვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა – 7560 ლარი, მიკროავტობუსით სატრანსპორტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა – 40000 ლარი, ავტობუსის სატრანსპორტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა – 30000 ლარი, გაერთიანების მე–11 ფილიალისათვის ჩოგბურთის ბურთების შესყიდვა – 1650

ლარი, ქუთაისის ყინულის მოედნისათვის საყინულე დანადგარის (ჩილერი) შესყიდვა – 177399 ლარი, ადმინისტრაციასა და ფილიალებში ინტერნეტ მომსახურების შესყიდვა–19080 ლარი, გაერთიანების სარგებლობაში არსებული ქონების დაცვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა – 6960 ლარი, გაერთიანებისათვის მიკროავტობუსისა და ავტობუსის სატრანსპორტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა – 70000 ლარი.

2018 წელს გაერთიანების მიერ ჩატარებულ იქნა 32 ღონისძიება:

1. 3 და 4 იანვარი – ქუთაისის ყინულის მოედანი – საახალწლო საზეიმო ღონისძიება;

2. 24 – 25 თებერვალი – N18 კრივის სპორტული სკოლა – ქალაქის პირველობა კრივში;

3. 8 – 12 მარტი – სოფო ბობოხიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში 2008 წელს დაბადებულთა შორის;

4. 23 – 24 მარტი – ქალაქის ღია პირველობა ძიუდოში;

5. 24 – 25 მარტი – სასკოლო პირველობა რაპიდში 8, 10, 12 წლამდე ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა შორის;

6. 28 აპრილი – ქუთაისის პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში;

7. 2 მაისი – „გვირილობა“;

8. 12 – 13 მაისი – ღია სასკოლო პირველობა ძალოსნობაში 1998 წელს და ზემოთ დაბადებულთა შორის;

9. 11 და 14 მაისი – მოყვარულთა თასი – 2018 წელი ფეხბურთში;

10. 16 – 17 მაისი – „ახალგაზრდული ფესტივალი 2018“ კალათბურთის ტურნირი, ფეხბურთის ტურნირი, სპრინტი 60 მეტრ დისტანციაზე. ჭადრაკი 2002–2003–2004 წელს დაბადებულ მოზარდთა შორის;

11. 19 მაისი – ქუთაისის ღია პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში;

12. 19 – 20 მაისი – ირ.წოწონავას ხსოვნისადმი მიძღვნილი VI რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში;

13. 22 მაისი – ქუთაისის ჩემპიონატი ჟურნალისტებს შორის პნევმატური იარაღიდან სროლაში;

14. 26 მაისი – დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება – ჭადრაკი;

15. 3 ივნისი – ,,ევროპის დღე ქუთაისში 2018“ – ქუჩის კალათბურთი;

16. 20 ივნისი – საქალაქო პირველობა ფეხბურთში 2009–2010 წწ. დაბადებულთა შორის;

17. 15 – 22 ივნისი – საფეხბურთო ტურნირი ორგანიზაციებს შორის;

18. 22 ივნისი – მსოფლიო ოლიმპიზმის დღე;

19. 28 ივნისი – ტურნირი საჯარო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის პნევმატური იარაღიდან სროლაში ანა კერესელიძის დასახმარებლად;

20. 30 ივნისი – 1 ივლისი – იმერეთის ღია პირველობა სპორტულ აკრობატიკაში – 90 მონაწილე;

21. 27 ივლისი – ტურნირი ჩოგბურთში მოყვარულებსა და პროფესიონალებს შორის;

22. 5 აგვისტო – ნონას თასი – ვიქტორინა და ერთობლივი საჭადრაკო სეანსი;

23. 20 – 23 სექტემბერი – ზ.დოლაბერიძის სახელობის ტურნირი 2005–2006 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის;

24. 28 სექტემბერი – ველოგარბენი და შეჯიბრება ბადმინტონში ევროპის სპორტული კვირეულის ფარგლებში;

25. 6 ოქტომბერი – 7 დეკემბერი – სასკოლო სპორტული ოლიმპიადის საქალაქო ტურნირი (მინი–ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ბადმინტონი, მაგიდის ჩოგბურთი, გეზმრბენი, მხიარული სტარტები და შემეცნებით–ინტელექტუალური თამაშები);

26. 6 – 7 ოქტომბერი – გურამ მელიქიშვილის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 2003–2005 წწ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის;

27. 6 ოქტომბერი – ოლიმპიზმის დღე;

28. 6 ოქტომბერი – 7 დეკემბერი – „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა – 2019“ მუნიციპალური თამაშები;

29. 17– 26 ოქტომბერი – ტურნირი მინი–ფეხბურთში ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის;

30. 26 ნოემბერი – 2 დეკემბერი – დავით ჩირაძის მემორიალი ჭადრაკში 7, 8, 10 და 12 წლის მოჭადრაკეთა შორის;

31. 9–10 დეკემბერი – ზაურ შეყრილაძისა და მურად დოხტურაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თ/ჭიდაობაში 2005, 2006, 2007, 2008 წელს დაბადებულთა შორის;

32. 15 დეკემბერი – ავ.თევდორაძის სახელობის ტურნირი ჰოკეიში გოგონებს შორის.

2018 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები ახალგაზრდული განყოფილების მიერ:

1. 2018 წლის 14 აპრილს დედაენის დღესთან დაკავშირებით, „ბავშვები ოლიმპიურ სამყაროში“ ამ დევიზით, ქუთაისის ცენტრალური ბულვარი საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ მოიხატა ფერადი ცარცით.

2. 2018 წლის 2 მაისს, „ქუთაისის მემატიანე“ – ამ სახელწოდების ვიქტორინა – კონკურსი გაიმართა ქუთაისში ნიღბების თეატრში, რომელშიც კერძო და საჯარო სკოლები იყვნენ წარმოდგენილნი. სასკოლო კონკურსი „ქუთაისის მატიანე“ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა, რომელიც მოიცავდა ჩვენი ქალაქის ისტორიას მე–19 საუკუნის ბოლოდან მე–20 საუკუნის 20–იან წლებამდე.

3. 2018 წლის 1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ორგანიზებით ბავშვთა გასართობ ცენტრ „კოკორიკოში“ სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის მოეწყო ჯადოსნური სამყაროს წარმოდგენა.

4. 2018 წლის 14 ივნისი საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით ა(ა)იპ „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ორგანიზებით, შპს „მაკნატუნასა და მაკდონალდსის“ ჩართულობით, განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „თაირისის“ აღსაზრდელებისთვის მოეწყო საბავშვო კინოჩვენება, რომელთაც გადაეცათ საჩუქრები.

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ სპორტსმენთა 2018 წლის შედეგები:

მსოფლიო ჩემპიონატსა და პირველობებზე დიდებში: I ადგილის მფლობელი გახდა 3 სპორტსმენი, დიდებში II ადგილის მფლობელი გახდა 2 სპორტსმენი, დიდებში III ადგილის მფლობელი გახდა 2 სპორტსმენი, ახალგაზრდებში I ადგილის მფლობელი გახდა 1 სპორტსმენი, ახალგაზრდებში II ადგილის მფლობელი გახდა 1 სპორტსმენი, კადეტებში I ადგილის მფლობელი გახდა 4 სპორტსმენი, კადეტებში II ადგილის მფლობელი გახდა 3 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 5 სპორტსმენი.

ევროპის ჩემპიონატსა და პირველობებზე – დიდებში: I ადგილის მფლობელი გახდა 5 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 6 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 3 სპორტსმენი.

ევროპის ჩემპიონატსა და პირველობაზე – ახალგაზრდებში: I ადგილის მფლობელი გახდა 3 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელია 6 სპორტსმენი.

ევროპის ჩემპიონატსა და პირველობაზე – კადეტებში: I ადგილის მფლობელი გახდა 6 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელია 5 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელია 8 სპორტსმენი

მსოფლიო თასზე – დიდებში: I ადგილის მფლობელი გახდა 1 სპორტსმენი. III ადგილის მფლობელია 1 სპორტსმენი.

ევროპის თასზე – კადეტებში: I ადგილის მფლობელი გახდა 1 სპორტსმენი.

საერთაშორისო ტურნირზე დიდებში: I ადგილის მფლობელი გახდა 3 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 8 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი არის 2 სპორტსმენი.

საერთაშორისო ტურნირზე ახალგაზრდებში: I ადგილის მფლობელი არის 6 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი არის 5 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 6 სპორტსმენი.

საერთაშორისო ტურნირზე კადეტებში: – I ადგილის მფლობელი გახდა 79 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 79 სპორტსმენი. III ადგილის მფლობელი გახდა 119 სპორტსმენი.

საქართველოს ჩემპიონატსა და პირველობებზე დიდებში: I ადგილის მფლობელი გახდა 14 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 15 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 16 სპორტსმენი.

საქართველოს ჩემპიონატსა და პირველობებზე ახლგაზრდებში: I ადგილის მფლობელი გახდა 10 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 15 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 22 სპორტსმენი.

საქართველოს ჩემპიონატსა და პირველობებზე კადეტებში: I ადგილის მფლობელი გახდა 71 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 53 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 82 სპორტსმენი.

საქართველოს თასი – დიდებში: I ადგილის მფლობელი გახდა 8 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 4 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 6 სპორტსმენი.

საქართველოში ჩატარებული ღია სასკოლო ტურნირები დიდებში: I ადგილის მფლობელი გახდა 6 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 6 სპორტსმენი.

საქართველოში ჩატარებული ღია სასკოლო ტურნირებში ახალგაზრდებში: I ადგილის მფლობელი გახდა 11 სპორტსმენი, ახალგაზრდებში II ადგილის მფლობელი გახდა 6 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 8 სპორტსმენი.

საქართველოში ჩატარებული ღია სასკოლო ტურნირებში კადეტებში: I ადგილის მფლობელი გახდა 162 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 144 სპორტსმენი.

III ადგილის მფლობელი გახდა 198 სპორტსმენი.

იმერეთის ჩემპიონატზე კადეტებში: I ადგილის მფლობელი გახდა 22 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 13 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 18 სპორტსმენი.

გუნდურ შეჯიბრებებში: – I ადგილის მფლობელია 7 გუნდი, II ადგილის მფლობელია 4 გუნდი, III ადგილის მფლობელია 1 გუნდი.

მსოფლიო ჩემპიონატი და პირველობა:

I – 8; II – 3; III – 7. სულ: 18 მედალი.

ევროპის ჩემპიონატი და პირველობა:

I – 14; II – 17; III – 11. სულ: 42 მედალი.

მსოფლიო თასი:

I – 1; III–1; სულ: 2 მედალი.

ევროპის თასი:

I – 1; სულ: 1 მედალი.

საერთაშორისო ტურნირი:

I – 98; II – 99; III – 137; სულ: 334 მედალი.

საქართველოს თასი:

I – 8; II – 4; III – 6; სულ: 18 მედალი.

საქართველოს ჩემპიონატი და პირველობა:

I – 96; II – 83; III – 119; სულ: 298 მედალი.

საქართველოში ჩატარებული ტურნირები:

I – 180; II – 156; III – 219; სულ: 555 მედალი.

იმერეთის ჩემპიონატი:

I – 22; II – 13; III – 18; სულ: 53 მედალი.

2018 წელს ქალაქის ნაკრები გუნდების მიერ მიღწეული შედეგები:

1. ბ/ჰოკეი (ვაჟები) – საქართველოს ჩემპიონატი – 2 ადგილი, მწვრთნელები: დ.მოდებაძე, ხ.ჯავახაძე.

2. ბ/ჰოკეი (ქალები) – საქართველოს ჩემპიონატი – 1 ადგილი, მწვრთნელები: ბ.ბასილაძე, ა.თევდორაძე, ბ.ჯანელიძე.

3. ფრენბურთი (ვაჟები) – საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი „თოვლის ფრენბურთში“ – I – III ადგილი, მწვრთნელები: გ.ჭოლაძე, პ.გორდაძე.

4. ბ/ჰოკეი (ქალები) – საქართველოს პირველობა – 5 – 1-ლი წრე – მე–2 ადგილი, მწვრთნელები: ბ.ბასილაძე, ა.თევდორაძე.

5. ბ/ჰოკეი (ქალები) – საქართველოს პირველობა – 5 – 1 ადგილი, მწვრთნელები: ხ.ჯავახაძე, დ.მოდებაძე.

6. ბ/ჰოკეი (ქალები) – საქართველოს პირველობა – 2 ადგილი, მწვრთნელი: ბ.ბასილაძე.

7. ბ/ჰოკეი (ქალები) – საქართველოს პირველობა – 5 – 1 ადგილი.

8. ბ/ჰოკეი (ქალები) – საქართველოს პირველობა – 5 – 1 ადგილი.

9. ჰოკეი (ვაჟები) საქართველოს ჩემპიონატი 1 წრე – 2 ადგილი, მწვრთნელები: ხ.ჯავახაძე, დ.მოდებაძე.

10. ჰოკეი (ქალები) საქართველოს ჩემპიონატი 1 წრე – 1 ადგილი, მწვრთნელი: ბ.ბასილაძე.

11. ბ/ჰოკეი (უმცროსები) – საქართველოს პირველობა – 2 წრე – 1 ადგილი, მწვრთნელები: ხ.ჯავახაძე, დ.მოდებაძე.

12. ბ/ჰოკეი (უმცროსი გოგონები) – საქართველოს პირველობა – 5–2 წრე 1 ადგილი, მწვრთნელები: ბ.ბასილაძე, ა.თევდორაძე.

13. ფარიკაობა მსოფლიო ჩემპიონატი მე–4 ადგილი.

სულ ჯამი:

I ადგილი – 435; II ადგილი – 379; III ადგილი – 519.

სულ: 1333 მედალი.

არგენტინა ქალაქი ბუენოსაირესი, 2018 წელი, 6–16 ოქტომბერი:

ხუციბერიძე ნინო – ტყვიის სროლა, მე–3 ადგილი, მწვრთნელი: უ.დინგაშვილი, N12 სკოლა ოლიმპიური სახეობა.

დიდები:

1. პატარიძე ზვიად – მწვრთნელი ელგუჯა მარუაშვილი (ბ/რ ჭიდაობა)

მსოფლიო ჩემპიონატი 23 წლამდელთა შორის, რუმინეთი, ქალაქი ბუქარესტი, 10–13 ნოემბერი, I ადგილი;

ევროპის ჩემპიონატი 23 წლამდელთა შორის, ივნისი, ქალაქი სტამბული, I ადგილი;

ვ.ბალავაძისა და კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნე გრან პრი 2 – 5 ივლისი ქალაქი თბილისი, I ადგილი;

საქართველოს პირველობა ბ/რ ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის 4–6 მარტი ქალაქი ბათუმი, I ადგილი.

2. ბაზაძე სანდრო – მწვრთნელი მერაბ ბაზაძე (ფარიკაობა)

მსოფლიოს თასის გათამაშება ხმლით ფარიკაობაში, 28 იანვარი, ქალაქი თბილისი, II ადგილი;

ევროპის ჩემპიონატი ქალაქ ნოვი–სადში, 19 – 27 ივნისი III ადგილი;

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ქალაქი თბილისი, 26 – 29 აპრილი, I ადგილი.

3. მარდალეიშვილი მიხეილ – მწვრთნელი მერაბ ბაზაძე (ფარიკაობა)

მსოფლიო თასის გათამაშება ხმლით ფარიკაობაში 28 იანვარი, ქალაქი თბილისი, III ადგილი.

4. მიშველიძე შოთა – მწვრთნელი მალხაზ ლომთაძე (ძალოსნობა)

ევროპის ჩემპიონატი, რუმინეთი, ქალაქი ბუქარესტი, 25 მარტი – 1 აპრილი, I ადგილი;

საქართველოს ჩემპიონატი 20–22 სექტემბერი, ქალაქი თბილისი, I ადგილი.

5. ლომთაძე ბექა – მწვრთნელი კობა ახვლედიანი თ/ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატი, ბულგარეთი, ქალაქი სოფია, 26 მაისი – 3 ივნისი, II ადგილი;

ვ.ბალავაძისა და კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი, გრან პრი, I ადგილი;

„ალანები 2018“ საერთაშორისო ტურნირი თ/ ჭიდაობაში, II ადგილი.

6. სულავა გიორგი – მწვრთნელი თეიმურაზ მურღულია (თ/ჭიდაობა)

ევროპის ჩემპიონატი 23 წლამდელთა შორის, თურქეთი, ქალაქი სტამბული, III ადგილი;

ტახტის ხსოვნის „ა“ კლასის საერთაშორისო ტურნირი, ირანი – თეირანი, 9–11 თებერვალი, II ადგილი;

საქართველოს ჩემპიონატი 23 წლამდელთა შორის, 20–21 იანვარი, ქუთაისი, I ადგილი.

ახლგაზრდები:

1. კილაძე ლიზი – მწვრთნელი როლანდი გირგვლიანი (ტყვიის სროლა)

მსოფლიო პირველობა სამხრეთ კორეა, ქალაქი ჩანგვონი 3–7 სექტემბერი, III ადგილი;

თბილისის საერთაშორისო ტურნირი, 19–24 ნოემბერი, ქალაქი თბილისი, I ადგილი;

საქართველოს ჩემპიონატი, ქალაქი თბილისი, 16–19 მარტი, II ადგილი.

2. ხეცურიანი დავით – მწვრთნელი გია ცირეკიძე (ძალოსნობა)

ევროპის ახალგაზრდული პირველობა, 17–27 ოქტომბერი, პოლონეთი, ქალაქი ზამოსცი, I ადგილი.

3. ხარაბაძე გიორგი – მწვრთნელი ანატოლი ცქიფურიშვილი (კრივი)

ევროპის პირველობა რუმინეთი, ქალაქი ტარგიჯიუში, 24 მარტი – 1 აპრილი, II ადგილი.

4. ხუციბერიძე ნინო – მწვრთნელი უშანგი დინგაშვილი (ტყვიის სროლა).

მსოფლიო ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები III ადგილი.

ჭაბუკები:

1. ბრეგაძე დავით – მწვრთნელი ვ.უნგიაძე (კარატე)

მე–9 მსოფლიო პირველობა კადეტთა შორის, თურქეთი, ქალაქი სტამბული, 20–22 აპრილი, I ადგილი;

საქართველოს პირველობა – ქალაქი თბილისი, 15 მარტი, II ადგილი;

საერთაშორისო ტურნირი – „კავკასიის ჩემპიონატი“ თურქეთი, ქალაქი ბორჩხა, 3–4 მარტი I ადგილი.

2. შარადენიძე ვახტანგ – მწვრთნელი მამუკა სუპატაშვილი (კარატე)

მე–9 მსოფლიო პირველობა კადეტთა შორის, თურქეთი, ქალაქი სტამბული, 20–22 აპრილი I ადგილი;

საერთაშორისო ტურნირი კავკასიის ჩემპიონატი, 3–4 მარტი, ქალაქი ბორჩხა, III ადგილი;

საერთაშორისო ტურნირი „ოპენ ჯორჯია“, 1–3 ივნისი, ქალაქი თბილისი, II ადგილი.

3. გაგნიძე ბაგრატ – მწვრთნელი კობა ახვლედიანი, თ/ჭიდაობა

მსოფლიო ჩემპიონატი თ/ჭიდაობაში 1–5 ივლისი, ხორვატია, ქალაქი ზაგრები, I ადგილი;

ევროპის პირველობა თ/ჭიდაობაში ჭაბუკებში, 14–16 მაისი, მაკედონია, I ადგილი;

უკრაინის საერთაშორისო ტურნირი თ/ჭიდაობაში 20–21 იანვარი, უკრაინა, ხარკოვი, I ადგილი.

4. ფურცხვანიძე შალვა – მწვრთნელი ა.დოლაბერიძე (კარატე)

მე–9 მსოფლიო პირველობა, კადეტთა შორის, თურქეთი, ქალაქი სტამბული, 20–22 აპრილი, II ადგილი;

საერთაშორისო ტურნირი თბილისის თასი, 24–25 მარტი, ქალაქი თბილისი, I ადგილი;

საერთაშორისო ტურნირი „ოპენ ჯორჯია“, 1–3 ივნისი ქალაქი თბილისი, II ადგილი.

5. დონაძე ლევან – მწვრთნელი ა.დონაძე (კარატე)

მე–9 მსოფლიო პირველობა კადეტთა შორის, თურქეთი, ქალაქი სტამბული, 20–22 აპრილი, II ადგილი;

საერთაშორისო ტურნირი „ოპენ ჯორჯია“, 1–3 ივნისი, ქალაქი თბილისი, II ადგილი.

6. სუპატაშვილი ნოდარ – მწვრთნელი მ.სუპატაშვილი (კარატე)

მე–9 მსოფლიო პირველობა კადეტთა შორის, თურქეთი, ქალაქი სტამბული, 20–22 აპრილი, III ადგილი;

საერთაშორისო ტურნირი, პრეზიდენტის თასი, 21 იანვარი, ქალაქი თბილისი, I ადგილი;

საერთაშორისო ტურნირი „ოპენ ჯორჯია“, 1–3 ივნისი, ქალაქი თბილისი, II ადგილი.

7. დონაძე ანზორ – მწვრთნელი ა.დონაძე (კარატე)

მე–9 მსოფლიო პირველობა კადეტთა შორის, თურქეთი, ქალაქი სტამბული, 20–22 აპრილი, III ადგილი;

საერთაშორისო ტურნირი „ოპენ ჯორჯია“, 1–3 ივნისი, ქალაქი თბილისი, III ადგილი.

8. აბდალაძე დავით – მწვრთნელი გოჩა კირკიტაძე (თ/ჭიდაობა)

ევროპის პირველობა ჭაბუკებში 14–16 მაისი მაკედონია II ადგილი;

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თ/ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, 20–22 ოქტომბერი, ქალაქი ბათუმი, I ადგილი.

9. მარგველაშვილი ნიკოლოზ – მწვრთნელი შმაგი გოქაძე ბ/რ ჭიდაობა

ევროპის პირველობა ბ/რ ჭიდაობა ჭაბუკებს შორის, 14–17 ივნისი, უნგრეთი, ქალაქი გოური II ადგილი.

10. ინანეიშვილი საბა – მწვრთნელი ვეფხვია ბალხამიშვილი (ძიუდო)

ევროპის თასი ჭაბუკებს შორის, ჩეხეთი, 21–22 აპრილი, I ადგილი;

ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში, 28–30 ივნისი, ბოსნია ჰერცოგოვინა, ქალაქი სარაევო, III ადგილი.

11. ჭოლაძე გიორგი – მწვრთნელი რევაზი ჩაჩხიანი (თ/ჭიდაობა)

ევროპის პირველობა თ/ჭიდაობაში, 14–16 მაისი, მაკედონია, III ადგილი;

საქართველოს პირველობა თ/ჭიდაობაში, 16–18 თებერვალი, გურჯაანი, I ადგილი.

12. გოქაძე მათე – მწვრთნელი ელგუჯა მარუაშვილი (ბ/რ ჭიდაობა)

ევროპის პირველობა ბ/რ ჭიდაობაში, 18–19 მაისი, მაკედონია, III ადგილი;

საქართველოს პირველობა კადეტთა შორის, 19–21 თებერვალი, ოზურგეთი, I ადგილი;

საერთაშორისო ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, თურქეთი, ქალაქი გებზე, II ადგილი.

13. კაკაბაძე ედუარდი – მწვრთნელი მ. ლომთაძე (ძალოსნობა)

ევროპის ჩემპიონატი კადეტებში იტალია, ქალაქი მილანი, 21–29 ივლისი, III ადგილი.

14. ლომთაძე ზაზა – მწვრთნელი მ.ლომთაძე (ძალოსნობა)

ევროპის ჩემპიონატი კადეტებში, იტალია, ქალაქი მილანი 21–29 ივლისი, III ადგილი.

15. მარგველაშვილი გივი – მწვრთნელი გია ცირეკიძე (ძალოსნობა)

მსოფლიო ჩემპიონატი 21–27 ნოემბერი, უკრაინა, კიევი I ადგილი;

ევროპის ჩემპიონატი, ქალაქი თბილისი, 17–18 ნოემბერი, I ადგილი.

არაოლიმპიური სახეობა

დიდები:

1. ჯანაშია კონსტანტინე – მწვრთნელი ავთანდილ ახვლედიანი (უძლიერესი) მამაკაცი

მსოფლიო ჩემპიონატი, 3–4 ივნისი, ინგლისი, ქალაქი ლონდონი, III ადგილი;

ევროპის ჩემპიონატი პროფესიონალებს შორის, აბსოლუტური წონა, 7–8 აპრილი, ინგლისი, ქალაქი მანჩესტერი, II ადგილი.

2. მოწონელიძე ლევან – მწვრთნელი ი.გამთენაძე (მკლავჭიდი)

მსოფლიო ჩემპიონატი, თურქეთი, ქალაქი ანტალია, 12–21 ოქტომბერი, I ადგილი;

ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთი, ქალაქი სოფია, 25 მაისი, 3 ივნისი, II ადგილი;

საქართველოს ჩემპიონატი 23–25 თებერვალი, ქალაქი თბილისი, I ადგილი.

3. ჩირგაძე გენად – მწვრთნელი გივი სარდანაძე (სამბო)

მსოფლიო პირველობა სამბოში, 17–20 მაისი, საბერძნეთი, ქალაქი ათენი, II ადგილი;

საქართველოს ჩემპიონატი სამბოში, ქალაქი თბილისი, 23–25 იანვარი, I ადგილი.

4) კუპრეიშვილი გიორგი – მწვრთნელი ზ.ჩხეტიანი (ძალისმიერი სამჭიდი)

მსოფლიო ჩემპიონატი, 21–27 ნოემბერი, უკრაინა, კიევი, II ადგილი.

5) ბუცხრიკიძე ზურაბ – მწვრთნელი ი. გამთენაძე (პარამკლავჭიდი)

მსოფლიო ჩემპიონატი, თურქეთი, ქალაქი ანტალია, 12–21 ოქტომბერი, III ადგილი;

ევროპის ჩემპიონატი, 26 მაისი – 3 ივნისი, ბულგარეთი, ქალაქი სოფია, II ადგილი.

6) ახვლედიანი ალექსანდრე – მწვრთნელი ბ.ცაგარეიშვილი (ძალისმიერი სამჭიდი)

ევროპის ჩემპიონატი, 17–18 ნოემბერი, ქალაქი თბილისი, I ადგილი.

7. ახობაძე ვახტანგი – მწვრთნელი ი.გამთენაძე (პარამკლავჭიდი)

ევროპის ჩემპიონატი, 26 მაისი – 3 ივნისი, ბულგარეთი, ქალაქი სოფია, II ადგილი.

ახალგაზრდები:

1. ონიანი ბეთქილ – მწვრთნელი ი.გამთენაძე (მკლავჭიდი)

მსოფლიო ჩემპიონატი, თურქეთი, ანტალია, 12–21 ოქტომბერი, I ადგილი;

მსოფლიო ჩემპიონატი, თურქეთი, ანტალია, 12–21 ოქტომბერი, II ადგილი;

ევროპის ჩემპიონატი, 25 მაისი – 3 ივნისი, ბულგარეთი, ქალაქი სოფია, I ადგილი.

2. ონიანი გიორგი – მწვრთნელი ი.გამთენაძე (მკლავჭიდი)

ევროპის ჩემპიონატი, 25 მაისი – 3 ივნისი, ბულგარეთი, ქალაქი სოფია, III ადგილი.

3. ონიანი ბექა – მწვრთნელი ი.გამთენაძე (მკლავჭიდი)

ევროპის ჩემპიონატი, 25 მაისი – 3 ივნისი, ბულგარეთი, ქალაქი სოფია, I ადგილი.

4. ჭუმბურიძე გიორგი – მწვრთნელი გივი სარდანაძე (სამბო)

ევროპის პირველობა, 13–15 აპრილი, ქალაქი პრაღა, II ადგილი;

საქართველოს პირადი პირველობა სამბოში, 21–24 თებერვალი, ქალაქი თბილისი, I ადგილი.

5. სვანიძე სოკრატ – მწვრთნელი გივი სარდანაძე (სამბო)

ევროპის პირველობა, 13–15 აპრილი, ქალაქი პრაღა, II ადგილი.

კადეტები:

1. ღვაჩლიანი გოჩა – მწვრთნელი გივი სარდანაძე (სამბო)

მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში ჭაბუკთა შორის, 12–14 ოქტომბერი, ქალაქი თბილისი, I ადგილი;

ევროპის პირველობა სამბოში 13 – 15 აპრილი, ქალაქი პრაღა, ჩეხეთი, I ადგილი.

2. ამბროლაძე გიორგი – მწვრთნელი ი.გამთენაძე (მკლავჭიდი)

ევროპის ჩემპიონატი, 25 მაისი – 3 ივნისი, ბულგარეთი, ქალაქი სოფია, I ადგილი;

მსოფლიო ჩემპიონატი, თურქეთი, ქალაქი ანტალია, 12–21 ოქტომბერი, II ადგილი.

3. სილაგაძე ინდირა – მწვრთნელი დავით თევდორაძე (სამბო)

მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში, 12–14 ოქტომბერი, ქალაქი თბილისი, III ადგილი.

4. წიქორიძე ზურა – მწვრთნელი კობა ცნობილაძე (სუმო)

მსოფლიო პირველობა სუმოში, 20–22 ივნისი, ტაილანდი, III ადგილი;

ევროპის ჩემპიონატი 18 წლამდელთა შორის, 27–28 ოქტომბერი, ესტონეთი, ქალაქი რაკვერე, I ადგილი.

5. კაცაძე დავით – მწვრთნელი ალუდა სილაგაძე (სუმო)

ევროპის ჩემპიონატი, 27–28 ოქტომბერი, ესტონეთი, ქალაქი რაკვერე, I ადგილი.

7. ადამაძე გიორგი – მწვრთნელი ი.გამთენაძე (მკლავჭიდი)

ევროპის ჩემპიონატი, 25 მაისი – 3 ივნისი, ბულგარეთი, ქალაქი სოფია, I ადგილი.

8. ადამაძე ამირან – მწვრთნელი დ.ნანავა (უშუ)

ევროპის მე–3 თასისა და მე–17 უშუს ჩემპიონატი, 11–20 მაისი, რუსეთი, ქალაქი მოსკოვი, II ადგილი;

ევრაზიის თასის გათამაშება, 10–17 სექტემბერი, სომხეთი, ქალაქი ერევანი, I ადგილი.

2019 წლის ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ 6 თვის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს – 3 935 000 ლარს.

ფილიალებში 2019 წელს მოსწავლეთა რაოდენობა 4516 შეადგენს.

მიმდინარე წლის 6 თვეში ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“ ბიუჯეტიდან დაფინანსდა 2 166 515 ლარით და შესაბამისად გაწეულია ხარჯები მიზნობრივად.

№	კლასიფიკაციის მუხლი	2019 წლის ბიუჯეტი	ათვისებულია 6 თვეში
1.	შრომის ანაზღაურება	2 598 000	1 230 418

2.	საქონელი და მომსახურება	740 000	444 973
3.	სოციალური უზრუნველყოფა	12 000	5 953
4.	სხვა ხარჯები (4132 სპორტსმენზე)	400 000	304 887
5.	არაფინანსური აქტივების ზრდა	185 000	180 283
	ჯამი:	3 935 000	2 166 515

საკუთარი შემოსავლების ანგარიშზე შემოსულია 37 804 ლარი, გაწეული ხარჯი შეადგენს 33631 ლარს, რომელიც გახარჯულია კომერციული ჯგუფების ხელფასებისათვის, ნაწილობრივ საიჯარო ქირებისა და კომუნალური გადახდებისათვის.

2019 წელს სახელმწიფო შესყიდვა ელექტრონული ტენდერების საშუალებით განხორციელდა: გაერთიანების 94-ე ფეხბურთის სპორტული სკოლისათვის სპორტული ფორმების შესყიდვა 4400 ლარი (ფონდის დაფინანსებით); გაერთიანების 94–ე სპორტული სკოლისათვის ბურთების შესყიდვა 8600 ლარი (ფონდის დაფინანსება); ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მე–11 ფილიალისათვის ჩოგბურთის ბურთების შესყიდვა 2080 ლარი; ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მე–17 ფილიალის – ქალაქ ქუთაისში ნიკეას პირველი ჩიხის N4–ში არსებული შენობის რეაბილიტაციისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა, სავარაუდო ღირებულება – 2374 ლარი; 2019 წელს სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა – 158259 ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდა გაერთიანების ადმინისტრაციისა და ფილიალების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საგნების/მომსაურებების შესყიდვას.

2019 წელს გაერთიანების მიერ ჩატარებულ იქნა 21 ღონისძიება:

1. ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისა“ და საინფორმაციო სამედიცინო ცენტრ „თანადგომას“ ორგანიზებით მინი ფეხბურთში მოეწყო ტურნირი. მასში სამთავრობო სტრუქტურების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო კომპანიების საფეხბურთო გუნდები მონაწილეობდნენ. ტურნირი კამპანიის „ევროკავშირის მხარდაჭერით ერთად ავიღოთ პასუხისმგებლობა – ხელი შევუწყოთ ადამიანების საზოგადოებაში დაბრუნებას“ ფარგლებში დაიგეგმა. კამპანიის მიზანს ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერების დასაქმების, მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობა წარმოადგენს;

2. ჩატარდა კალათბურთში ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის მემორიალური ტურნირი;

3. ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ორგანიზებით, სპორტის მუზეუმში ვეტერან და მოქმედ ქალ სპორტსმენებთან შეხვედრა მოეწყო. ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მათ ყვავილები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ;

4. ჩატარდა ჟურნალისტ სოფო ბობოხიძის სახელობის ტურნირი ფეხბურთში. გარდამავალი თასის მფლობელი „ტორპედო“ გახდა. სოფო ბობოხიძის სახელობის ტურნირი ფეხბურთში ჭაბუკთა შორის დასრულებულია. შეჯიბრებები 8 მარტიდან 14 მარტის ჩათვლით მიმდინარეობდა. მე–3 ადგილზე „მართვე“ გავიდა, მე–2 ადგილის მფლობელი „ქუთაისი“ გახდა, ტურნირის გამარჯვებული კი „ტორპედოა“. ტურნირი ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ორგანიზებით შედგა. მასში იმერეთის რეგიონის 8 გუნდი მონაწილეობდა;

5. 15 – 17 მარტი – გაიმართა ტურნირი კრივში 2005–2006 წლებში დაბადებულ მოკრივეებს შორის საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან და სომხეთიდან ჩამოსულ მოკრივეთა გუნდების მონაწილეობით;

6. ქუთაისში აღინიშნა მსოფლიო სპორტის დღის – სპორტის საერთაშორისო დღე. პირველი ღონისძიება მოსწავლე–ახალგაზრდობის პარკში გაიმართა, სადაც გეზმრბენში სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონული შეჯიბრი მოეწყო;

7. 19 მარტი – 19 აპრილი – გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019–ის იმერეთის რეგიონული ტურნირი;

8. მსოფლიო სპორტის დღეს – ქუთაისის ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ორგანიზებით სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანების აქცია მოეწყო. აქციას ცნობილი სპორტსმენები შეუერთდნენ. სპორტის მსოფლიო დღეს მიეძღვნა ფესტივალი სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში;

9. 19 აპრილს – სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019–ის იმერეთის რეგიონული ტურნირი დაიხურა. სპორტის 8 სახეობაში გამარჯვებული გუნდები ქუთაისის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ, იმერეთის გუბერნატორის მოადგილემ, იოსებ ხახალეიშვილმა, ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მმართველმა, კობა ფხაკაძემ და ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, რამაზ ჩხიკვაძემ დააჯილდოეს;

10. ქუთაისმა კარატეში 26–ე საერთაშორისო ჩემპიონატს უმასპინძლა. მასში 301 სპორტსმენი აფხაზეთიდან, გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან და თბილისიდან მონაწილეობდა. ტურნირი ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა. საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები სპეციალური პრიზებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ;

11. 2 მაისი – მუხნარის ტყე–პარკში მოეწყო რამდენიმე სპორტული ღონისძიება. წარმოდგენილი იყო ძალისმიერი სამჭიდი, მკლავჭიდი, კარატე, ტაეკვანდო, უშუ, შავფაროსნები, ფარიკაობა, ტანვარჯიში, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი;

12. 2 მაისი – გაიმართა ქვარიანის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში;

13. ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ორგანიზებით ქუთაისის 35–ე საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არსებულ ტირში ჩატარდა ქალაქის პირველობა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. შეჯიბრება გაიმართა როგორც ბიჭებს, ასევე, გოგონებს შორის. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ თასები, მედლები და დიპლომები გადაეცათ;

14. 4–5 მაისი – გაიმართა საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებები ქუთაისში მიმდინარეობდა და მასში საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩეხეთის ეროვნული ნაკრებები მონაწილეობდნენ. საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები შესაბამისი პრიზებით დაჯილდოვდნენ. ტურნირი ტანვარჯიშის ფედერაციის, ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლებისა და ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ორგანიზებით მოეწყო;

15. 5–6 მაისს ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ორგანიზებით მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლეში ჩატარდა ირაკლი წოწონავას ხსოვნისადმი მიძღვნილი მე–7 ტრადიციული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა (2007–2008, 2009–2010 წწ.) შორის. შეჯიბრებაში საქართველოს 22 ქალაქისა და რაიონის 333 სპორტსმენი მონაწილეობდა. პრიზიორები და გამარჯვებულები 15 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ, რომლებსაც თასები, მედლები და დიპლომები გადაეცათ;

16. ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ორგანიზებით ძიუდოში ქალაქის ღია პირველობა გაიხსნა. ტურნირი 2 დღის განმავლობაში გაგრძელდა. ოლიმპიური ჩემპიონის, დავით ხახალეიშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზში ერთმანეთს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 300–მდე სპორტსმენი დაუპირისპირდა.

17. ქუთაისის 29–ე საჯარო სკოლის ჭიდაობის დარბაზში ჩატარდა საქართველოსა და სსრკ–ს დამსახურებული მწვრთნელის, ილია ბიბოხიძისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ჯემალ კოსტავას

ხსოვნისადმი მიძღვნილი მე–8 საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ–რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. შეჯიბრება ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ორგანიზებით ჩატარდა და მასში საქართველოს ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლებთან ერთად, სომხეთის ჭაბუკთა ნაკრებიც მონაწილეობდა;

18. ქუთაისის სპორტის სასახლეში დასრულდა ოთარ აბზიანიძის სახელობის პირველი საერთაშორისო ტურნირი ბადმინტონში. შეჯიბრებაში საქართველოს ქალაქების წარმომადგენლებთან ერთად, გერმანელი, აზერბაიჯანელი და ირანელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. სულ ტურნირზე 80–მა მონაწილემ იასპარეზა;

19. ქუთაისის მარიამ ყუფარაძის სახელობის მე–20 ტანვარჯიშის სპორტსკოლაში ჩატარდა ქალაქის ღია პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში; ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და მასში ქუთაისის, თბილისის, თელავის, მარნეულის, ზუგდიდისა და ბათუმის 115–მა სპორტსმენმა იასპარეზა;

20. 29 – 31 მაისი – ჩატარდა ქუთაისის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში ქალთა და ვაჟთა შორის;

21. 17 – 18 ივნისი – ჩატარდა ღია სასკოლო პირველობა ძალოსნობაში 2001 წელს და ზემოთ დაბადებულთა შორის.

2019 წლის მდგომარეობით განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები ახალგაზრდული განყოფილების მიერ:

1. 2019 წლის 29 მარტს გაიმართა ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების აქტივის შეხვედრა ქართულ–გერმანული ცენტრის სტუდენტებთან და გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება;

2. 2019 წლის 9 აპრილს ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ორგანიზებითა და ქართულ – გერმანული ცენტრის სტუდენტების ჩართულობით გადაღებულ იქნა ამ დღისადმი მიძღვნილი საინფორმაციო საგანმანათლებლო ხასიათის კლიპი ინფორმაციას გაეცნენ იმჟამად ქუთაისში მყოფი გერმანელი სტუმრები;

3. 2019 წლის 14 აპრილს ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ორგანიზებით მომზადდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი მემორიალური ვიდეო რგოლი;

4. 2019 წლის 21 აპრილს დედამიწის დღესთან დაკავშირებით ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ორგანიზებით მოეწყო ახალგაზრდებისა და ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთობლივი აქცია – დეკორატიული მცენარეების დარგვა;

5. 2019 წლის 25 – 27 მაისს ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ჩართულობით მოეწყო ღონისძიება „სპორტი ბარიერების გარეშე“, რის შედაგადაც მეტი ახალგაზრდა ჩაერთო ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდაში;

6. 2019 წლის 7 ივნისს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მომართვის საფუძველზე ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებისა და განათლების რესურსცენტრის ერთობლივი მუშაობის საფუძველზე გამოვლინდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედები (მხატვრები და მწერლები).

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ სპორტსმენთა 2019 წლის 7 თვის შედეგები:

მსოფლიო ჩემპიონატსა და პირველობებზე კადეტებში II ადგილის მფლობელი გახდა 3 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 1 სპორტსმენი.

ევროპის ჩემპიონატსა და პირველობებზე – დიდებში I ადგილის მფლობელი გახდა 1 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 3 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 2 სპორტსმენი.

ევროპის ჩემპიონატსა და პირველობაზე – ახალგაზრდებში I ადგილის მფლობელი გახდა 3 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელია – 2 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 3 სპორტსმენი.

ევროპის ჩემპიონატსა და პირველობაზე – კადეტებში I ადგილის მფლობელი გახდა 2 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელია 3 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელია 2 სპორტსმენი.

მსოფლიო თასზე – დიდებში I ადგილის მფლობელი გახდა 1 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელია 1 სპორტსმენი.

ევროპის თასზე – ახალგაზრდებში III ადგილის მფლობელი გახდა 1 სპორტსმენი, დიდებში I ადგილის მფლობელი გახდა 1 სპორტსმენი.

საერთაშორისო ტურნირზე დიდებში I ადგილის მფლობელი გახდა 6 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 3 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი არის 8 სპორტსმენი.

საერთაშორისო ტურნირზე ახალგაზრდებში I ადგილის მფლობელი გახდა 8 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 4 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 6 სპორტსმენი.

საერთაშორისო ტურნირზე კადეტებში I ადგილის მფლობელი გახდა 68 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 48 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 69 სპორტსმენი.

საქართველოს ჩემპიონატსა და პირველობებზე დიდებში I ადგილის მფლობელი გახდა 13 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 7 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 9 სპორტსმენი.

საქართველოს ჩემპიონატსა და პირველობებზე ახლგაზრდებში I ადგილის მფლობელი გახდა 13 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 10 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 14 სპორტსმენი.

საქართველოს ჩემპიონატსა და პირველობებზე კადეტებში I ადგილის მფლობელი გახდა 41 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 39 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 43 სპორტსმენი.

საქართველოს თასი – დიდებში I ადგილის მფლობელი გახდა 5 სპორტსმენი, დიდებში II ადგილის მფლობელი გახდა 4 სპორტსმენი.

საქართველოში ჩატარებულ ღია სასკოლო ტურნირებში დიდებში – I ადგილის მფლობელი გახდა 4 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 4 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 3 სპორტსმენი.

საქართველოში ჩატარებული ღია სასკოლო ტურნირებში ახალგაზრდებში – I ადგილის მფლობელი გახდა 4 სპორტსმენი, ახალგაზრდებში II ადგილის მფლობელი გახდა 2 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 7 სპორტსმენი.

საქართველოში ჩატარებულ ღია სასკოლო ტურნირებში კადეტებში – I ადგილის მფლობელი გახდა 77 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 78 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 112 სპორტსმენი.

იმერეთის ჩემპიონატზე კადეტებში I ადგილის მფლობელი გახდა 12 სპორტსმენი, II ადგილის მფლობელი გახდა 8 სპორტსმენი, III ადგილის მფლობელი გახდა 6 სპორტსმენი.

სულ ჯამი: I ადგილი – 258; II ადგილი – 218; III ადგილი – 287; სულ: 763 მედალი.

ბელორუსია მინსკი – 2019 წელი, 21 ივნისი, ნინო ხუციბერიძე – ტყვიის სროლა 29–ე ადგილი, მწვრთნელი. უ.დინგაშვილი, N 12 სკოლა.

ბელორუსია მინსკი – 2019 წელი, 24 ივნისი, ჯაბა მოსეშვილი, მშვილდოსნობა, მონაწილე.

ბელორუსია მინსკი – 2019 წელი, 22 – 24 ივნისი (დიდები) – გენადი ჩირგაძე – სამბო, III ადგილი, მწვრთნელი, გივი სარდანაძე.

ბელორუსია მინსკი – 2019 წელი, 21–30 ივნისი (დიდები) ბახტიძე მიხეილი, ხარაბაძე გიორგი, მწვრთნელი, ანატოლი ცქიფურიშვილი, მონაწილე, N 18 სკოლა.

2020 წლისათვის დაგეგმილი პროექტები:

N17 კომპლექსური სპორტული სკოლა, ძიუდოს დარბაზი სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსება – 15,000 ლარი; რეგიონალური ფონდის დაფინანსება – 285,000 ლარი; სულ – 300,000 ლარი.

რობერტ შავლაყაძის სახელობის N 19 მძლეოსნობის სპორტული სკოლა

სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსება – 20,000 ლარი; რეგიონალური ფონდის დაფინანსება – 380,000 ლარი; სულ – 400,000 ლარი.

კონსტანტინე ლიპარტელიანის სახელობის N 21 ნიჩბოსნობის სპორტული სკოლა

სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსება – 7,500 ლარი; რეგიონალური ფონდის დაფინანსება – 142,500 ლარი; სულ – 150,000 ლარი.

N 17 კომპლექსური სპორტული სკოლა, თავისუფალი ჭიდაობის დარბაზი

სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსება – 5,000 ლარი; რეგიონალური ფონდის დაფინანსება – 95,000 ლარი; სულ – 100,000 ლარი.

ლევან კირკიტაძის სახელობის N 15 ფარიკაობის სპორტული სკოლა

სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსება – 7,500 ლარი; რეგიონალური ფონდის დაფინანსება – 142,500 ლარი; სულ – 150,000 ლარი.

აკაკი კაკაურიძის სახელობის N 18 კრივის სპორტული სკოლა

სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსება – 10,000 ლარი; რეგიონალური ფონდის დაფინანსება – 190,000 ლარი; სულ – 200,000 ლარი.

N 17 კომპლექსური სპორტული სკოლა

სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები. სულ – 80,000 ლარი;

სულ რეაბილტაციისათვის გამოყოფილი თანხა – 1,380,000 ლარი.

შენიშვნა: წინამდებარე ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22–ე სხდომაზე, მ/წლის 31 ივლისს წარმოდგენილ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მმართველის, კობა ფხაკაძის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია